საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* შეფასების შედეგი:

მოსამართლის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑
მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	13	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	15	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები	15	20
პროფესიული თვისებები	11	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	69	100

ლევან მიქაბერიძე

თარიღი 19.07.2024 წ.

ლევან მიქაბერიძე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის თამარ ალფაიძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, ამავე სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 2 ივლისის №1/53 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდა თამარ ალფაიძე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით გათვალისწინებული წესით, კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას გავეცანი სრულყოფილად.

ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

სახელი, გვარი: თამარ ალფაიძე
ასაკი: 45 წელი
განათლება: უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული (თსუ) დოქტორი (თსუ) ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტი (თსუ)
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 24 წელი
სამუშაო ადგილი: კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი; მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლები:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;

ზ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა (35[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის თავისუფალი აზროვნების უნარს, დამოუკიდებლობას, პრინციპულობას, კომუნიკაბელურობას, სამართლიანობის გამძაფრებულ აღქმას, ლიდერულ თვისებებს და მისწრაფებებს, კრიტიკულ აზროვნებას. ერთ-ერთი რეკომენდატორი უშვებს მიკერძოებულობის შესაძლებლობას. ამასთან, განმარტავს, რომ კანდიდატს პირად ურთიერთობებში გარკვეულწილად შეუძლია მორალური პრინციპების დაცვა, თუმცა მან ვერ შეძლო ნდობის მოპოვება, რადგან პიროვნული თვისებების გამოვლენაში არ არის თანმიმდევრული და საიმედო. რეკომენდატორი ფიქრობს, რომ კანდიდატმა ნაკლები იმუშავა რეპუტაციის შესანარჩუნებლად ან მისი სურვილი და შესაძლებლობა დროში არ დაემთხვა ერთმანეთს. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს: გადაჭარბებული ამბიცია და ზედმეტი გართობა.

გამოკითხული რესპოდენტებიდან ერთი რესპოდენტი კადიდატის პირად თვისებებს არ იცნობს კარგად, ხოლო მის პროფესიულ კვალიფიკაციას იცნობს საშუალოდ. მეორე რესპოდენტი კადიდატის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ, ხოლო პროფესიულ კვალიფიკაციას - კარგად. ერთი რესპოდენტის აზრით, კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, მეორე გამოკითხული რესპოდენტი მიუთითებს, რომ კანდიდატი ზოგიერთ შემთხვევაში აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო ერთ შემთხვევაში უჭირს შეფასება. კომპეტენტურობის კრიტერიუმით ერთი რესპოდენტი კანდიდატს აფასებს ზოგიერთ შემთხვევაში კარგად ან ძალიან კარგად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უჭირს შეფასება. მეორე რესპოდენტი კი აფასებს ძალიან კარგად ან კარგად, ერთ შემთხვევაში - მინიმალურად.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ აქვს მიმდინარე სესხი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე კანდიდატს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 16

ფაქტი. დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატის მიმართ შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 6 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი (ყველა ჯარიმა გადახდილია დროულად).

მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, მივიჩნევ, რომ კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს უარყოფითად.

დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა (35[1]-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის დამოუკიდებელი და პრინციპული. გამოარჩევენ მასში სამართლიანობის გამძაფრებულ აღქმას, თუმცა ერთ-ერთი რეკომენდატორი უშვებს მიკერძოებულობის შესაძლებლობას. მიუხედავად ერთ-ერთი რეკომენდატორის ამგვარი დაშვებისა, მისი გაზიარების ფაქრობრივი საფუძველი ამ ეტაპზე არ გამაჩნია.

მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. 2019 წლის შუალედურ არჩევნებში იყო დამოუკიდებელი კანდიდატი მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული ქცევა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა (35[1]-ე მუხლის მე-6 პუნქტი).

თამარ ალფაიძე საჯარო მოსმენის პროცესში იყო კორექტული. უჭირდა ემოციების მართვა და ცდილობდა მისთვის მისაღები წესებით პროცესის წარმართვას. მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატი მონაწილეობდა მხარედ ორ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (ორივე საქმის წარმოება დასრულებულია) დაზარალებულად იყო ცნობილი სისხლის სამართლის ერთ საქმეზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა (35[1]-ე მუხლის მე-7 პუნქტი).

კანდიდატი სარგებლობას დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით, ხასიათდება კარგად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს.

დასკვნა - კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ცალკეული მახასიათებლების შედეგების გათვალისწინებით, თამარ ალფაიძე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

აღნიშნული კრიტერიუმით შეფასებისას გათვალისწინებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლები:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ)პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

სამართლის ნორმების ცოდნა

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე (35[1] მუხლის მე-9 პუნქტი).

კანდიდატმა ინტერვიუს დროს უარი განაცხადა მასთან კითხვა-პასუხის რეჟიმში პროცესის წარმართვაზე. დასმული იქნა ორი კითხვა. სახელმწიფო სიმბოლოებთან დაკავშირებულ კითხვაზე მისი პასუხი იყო არასრული. მომდევნო კითხვაზე კანდიდატს გაუჭირდა პასუხების გაცემა და მსჯელობის განვითარება. შესაბამისად, კანდიდატი შევაფასე მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნულ მახასიათებელში მიმაჩნია, რომ კანდიდატი უნდა შეფასდეს - 13 ქულით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება (35[1] მუხლის მე-10 პუნქტი).

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატს გააჩნია საკმაოდ ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი იქნა სტატიები: მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება; სამართლისა და მორალის ევოლუცია და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო გამოსვლისას კანდიდატს სათანადოდ არ წარმოუჩენია საკუთარი შესაძლებლობები, წარმოდგენილი სტატიებისა და პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით, კანდიდატი უნდა შეფასდეს 15 ქულით.

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

წერის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა (35[1] მუხლის მე-11 პუნქტი).

როგორც აღინიშნა კანდიდატის მიერ წარმოდდგენილი იქნა სტატიები: მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება; სამართლისა და მორალის ევოლუცია; ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება და სხვა. სამრთლებრივი მონოგრაფია - მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები და სხვა. კანდიდატი მეტყველებს გამართულად. გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატი უნდა შეფასდეს 15 ქულით.

პროფესიული თვისებები

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა (35[1] მუხლის მე-12 პუნქტი).

რეკომენდატორები ხაზს უსვამენ კანდიდატის თავისუფალი აზროვნების უნარსა და პიროვნულ დამოუკიდებლობას, ლიდერულ თვისებებს, მისწრაფებებს და კრიტიკულ აზროვნებას.

საჯარო მოსმენის ფარლებში გამოცლენილი უნარების გათვალისწინებით, ასევე წარმოდგენილ ნაშრომებზე დაყრდნობით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი უნდა შეფასდეს 11 ქულით.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა (35[1] მუხლის მე-13 პუნქტი).

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატი სამართლის დოქტორია. 2023 წლიდან - დღემდე არის კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, ხოლო 2022 წლიდან - დღემდე არის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის პედაგოგი. საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილია აკადემიური ნაშრომი იურიდიული მეცნიერების დარგში - სამართალმცოდნეობის შესავალი, სამეცნიერო ნაშრომი - მედია სამართალი (მიმდინარე კონკურსი).

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი უნდა შეფასდეს <u>10</u> ქულით.

პროფესიული აქტივობა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა (35[1] მუხლის მე-14 პუნქტი).

თამარ ალფაიძე არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. გამოქვეყნებული აქვს სამრთლებრივი მონოგრაფია - მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები; მედია სამართალი; შესავალი სამართალმცოდნეობაში და სხვა. მონაწილეობდა სხვადასხვა შეხვედრებში: training on media regulations; AL regulation a micro course for lowers 2021; teaching ict pollicy skills; The center for global communication studies at the annenberg schcool for communication, university of pensilvania და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი პროფესიული აქტივობის მახასიათებლით უნდა შეფასდეს <u>5</u> ქულით.

დასკვნა კანდიდატის კომპეტენტურობის შესახებ

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, კანდიდატ თამარ ალფაიძეს ვაფასებ <u>69</u> ქულით.

სახელი, გვარი: _____

თარიღი: 19.07.2024 წ.